

---

არქივები, მემუარული პროზა და მოგზაურთა ჩანაწერები  
Archives, Memoirs and Notes from Travelers

---

**Julieta Gabodze**

**ჯულიეტა გაბოდე**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**All Roads lead to Rome / globalization /**

**(Iv. Javakhishvili's open and secret controversy with I. Gogebashvili and Akaki)**

**ყველა გზა რომში / გლობალიზაციისკენ / მიდის**

**(ივ. ჯავახიშვილის ღია და ფარული პოლემიკა ი. გოგებაშვილთან და აკაკისთან)**

Akaki Tsereteli opposed Niko Marr once again in 1904, for his biased attitude towards Georgian writing. "Marr's example has given rise to a school of Georgian haters, among whom the young Javakhishvili has emerged, who had unleashed his scientific fury on Iakob Gogebashvili." Akaki echoes Ivane Javakhishvili's letters "Science and Patriotism," in which he severely criticizes "The Pillar of Nationality", the book by Iakob Gogebashvili, referring to it as "a manifestation of exaggerated national pride."

Akaki believed that Niko Mari's discipleship imposed a kind of moral obligation on the young researcher. Javakhishvili defends Mari's views, although he shows great modesty towards Akaki Tsereteli and never mentions his name.

120 years later, Akaki's letter "The Haters of Georgians" will be published in the 20 volume collection of his works.

**Keywords:** Akaki, Ivane Javakhishvili, Niko Marr, Iakob Gogebashvili, controversy

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარ, იაკობ გოგებაშვილი, დაპირისპირება

1904 წელს დაიბეჭდა აკაკი წერეთლის წერილი „ქართველთა მოძულენი“ (აკაკი, „ივერია“, 1904, 128-130), რომელიც არც მწერლის სიცოცხლეში და არც შემდეგ აღარ გამოქვეყნებულა. მიზეზი ამისა, ალბათ, ის გახდა, რომ აკაკი კვლავაც თავგამოდებით იცავდა ქართული მწერლობისა და ეროვნული კულტურის ინტერესებს, არ იზიარებდა პროფესორ ნიკო მარის შეხედულებებს ქართული ანბანის სომხური წარმომავლობის შესახებ; ასევე, მოსაზრებებს ქართული მწერლობის სხვა ძეგლებზე სომხური გავლენების შესახებ, რასაც აქტიურად იმოწმებდნენ სხვა სომეხი მეცნიერები. და სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის ის წერილი, რომლის გამოც გულმოსული პოეტი წერდა: „ჩვენი დღევანდელი ინტელიგენცია ვერ იქცევა რომ უნდა, ისე... გაუღდა

თავისას, ძალზე გაჭირვებულ ყოფაში ჩავარდნილს და საპირადო ანგარიშით ეკედლება სხვებს, რომ სანუკვარს მაინც ჩამორჩეს!..ის კი არ მოგვწონს, რომ მარის მაგალითმა შკოლა გამოიწვია ჩვენში **„ქართველთა მოძულეთა“**, რომელთა შორის თავი იჩინა ახალგაზრდა ჯავახიშვილმა და ამის წაყრუება არ ივარგებს არც ჩვენთვის და არც თვით იმ ახალგაზრდა სამეცნიერო გზისკენ მიმავალ კაცისათვის“ (აკაკი, „ივერია“, № 129, გვ. 3).

საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ახალი პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის-თვის ემზადებოდა. იწყებოდა მსოფლიოს გადანაწილების პროცესი, რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნების, მით უფრო, პატარა ერების, კულტურულ-ნაციონალურ წესრიგზე. ამიტომაც, აკაკის აზრით, ამ დროს განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდებოდა ეროვნულ მწერლობას და მის მესვეურებს:

„დღეს ბატ. გოგებაშვილისთანა კაცებს ჩვენ, ქართველები, ჟინჟლივით უნდა ვეძებდეთ, არა თუ სამტროდ ვუჩხიკინებდეთ!... და ამ დროს „ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს თავის სამეცნიერო მრისხანება მოუვლენია იაკობ გოგებაშვილისადმი“. აკაკი ფიქრობდა, რომ ნიკო მარის მოწაფეობა ახალგაზრდა მკვლევარს ერთგვარ მორალურ ვალდებულებას აკისრებდა. „ამ კამათს „რაღაც სხვა სუნი უდის“ – წერდა პოეტი (აკაკი, „ივერია“, 1904, 129, გვ.3; #130, გვ. 2).

120 წლის შემდეგ ეს წერილი გამოქვეყნდება აკაკი წერეთლის თხოულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის მე-14 ტომში.

**ჩვენი კვლევის მიზანია** გავარკვიოთ რა გახდა ამ წერილის დაწერის მიზეზი და ისიც, თუ რატომ დაუპირისპირდა ივანე ჯავახიშვილი იაკობ გოგებაშვილს.

1903 წელს ცალკე წიგნად გამოიცა იაკობ გოგებაშვილის შრომები: **„ბურჯი ეროვნებისა“** და **„Правда о Тифлисе“** (მეორე გამოცემა). ივანე ჯავახიშვილმა წერილების ციკლში **„მეცნიერება და მამულიშვილობა“** მკაცრად გააკრიტიკა იაკობ გოგებაშვილის მოსაზრება ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ **„ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათის“** გამო და მას **„გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობის გამოვლინება“** უწოდა (ჯავახიშვილი „ცნობის ფურცელი“, 1904, №№2453; 2458, 2460,2465-2467). იმავე წელს ჯავახიშვილის ეს კრიტიკული წერილი ცალკე წიგნად გამოიცა (ჯავახიშვილი, 1904).

წერილში **„ბურჯი ეროვნებისა“** გოგებაშვილი წერდა:

„უდიდესი მნიშვნელობა დედა ენისა და ეროვნებისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისთვის კარგად შეიგნეს ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში ყველა პატარა ერი დიდ სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით, საუკუთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ **გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრებისა, ღვაწლისა, თავისებურობისა, ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი, ღირსებანი დიდდებიან და ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უდევს უწმინდესი გრძნობა-მამულის სიყვარული, უზენაესი მიზანი-დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა“....ჩვენ შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა..რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარვყოთ ყოველივე მისი თავისებურობა და ღვაწლი... ჩვენ კი გავრბივართ ხუთი ათასი ვერსის სიშორეზე და ვბეჭდავთ უცხო ენაზე: მთელი ისტორია საქართველოსი წარმოადგენს უდაბნოსა არაფრობისას, უვიცობისასა და ტუტუცობისასო“ (გოგებაშვილი, 1990, ტ. II, გვ. 36-37).**

გოგებაშვილი, ცხადია, გულისხმობდა ნიკო მარის შრომებს ქართული ანბანის წარმოშობის თეორიის, „ვეფხისტყაოსნისა“ და სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ორიგინალობის შესახებ. იგი ახსენებდა მკითხველს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი განსაკუთრებით სახიფათო იყო პატარა ერების მწერლობისათვის:

„გაბატონებულნი ერნი სცდილობდნენ დამორჩილებულ ერთათვის დაევიწყებინათ დედა-ენა, სამშობლო, ისტორია; ლიტერატურა, გადაეგვარებინათ... მაგრამ ეხლა კი დიდნი ერნი დაადგნენ სხვა გზასა, უარჰყვეს პატარა ხალხების ეროვნების დევნა და სრულ უფლებას ანიჭებენ მათს ეროვნულ ფაქტორებს.“(გოგებაშვილი,1990,ტ.II, გვ.41). ამიტომაც განსაკუთრებით ასეთ სიტუაციაში უნდა დავაფასოთ ჩვენი ისტორია, მხნედ შევუდგეთ ჩვენის ეროვნების აღორძინებას. ეს კი შესაძლებელი გახდება, იმ შემთხვევაში, თუ „ევროპულ განათლებას ვადენინებთ ეროვნულ მიღებში, შევძლებთ თავისებური წვლილი შევიტანოთ იმ დიდებულს მსოფლიო საღაროში, სადაც იკრებება მთელი კაცობრიობის ჭკუისს, გულის, ფანტაზიის და ხასიათის ნაყოფი“ (გოგებაშვილი, 1990, ტ. II, გვ. 36).

ივანე ჯავახიშვილის წერილების ციკლში რამდენიმე ასპექტი გამოიკვეთება: პირველი – იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებების კრიტიკა და მეორე – ნიკო მარის შეხედულებების დაცვა და პასუხი ყველა მის ოპონენტს. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ახალგაზრდა მეცნიერი აშკარად დიდ თავშეკავებასა და მოკრძალებას იჩენს აკაკი წერეთლის მიმართ, რომელიც ყველაზე მწვავედ და მოურიდებლად დაუპირისპირდა მარის ტენდენციურ დამოკიდებულებას ქართული მწერლობის მიმართ.

ვნახოთ, როგორ ასაბუთებს ჯავახიშვილი თავის შეხედულებას გოგებაშვილის მოსაზრების საპირისპიროდ. მისი აზრით,

**„ადვოკატური გამოსარჩლებითი“ ისტორიების წერა კი არ გვიშველის, არამედ პირუთვნელი, ყოველმხრივი კრიტიკული შესწავლა და გამოკვლევა ჩვენის წარსულის და თანამედროვე ცხოვრების. .. ქართულ ენას და მწერლობას მაშინ გაუმადრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო, თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი მწერლობა შექმნას, რომ მწერლობას მართლა ძალა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს (ჯავახიშვილი, 1904, „ცნობის ფურცელი“, №2458, გვ. 2).**

ჯავახიშვილი პრინციპულად ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ წარსულის დიდება ვერაფერს შეჰმატებს აწმყოს და ამიტომ საჭიროა ისტორიის მეცნიერული კვლევა-გაანალიზება და ამის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა:

„წარსულის ცოდნა მისაბამავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და თვითცნობიერების დასაკმაყოფილებლად...ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული...რა დიდი ღვაწლიც არ უნდა მიუძღვოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერ უშველის...თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კიარა, გამომჟღავნება უნდა, მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს მას შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს... ჩვენი უძლურება ის არის, რომ სწორედ ჩვენ არც წარსულის, არც თანამედროვე ცხოვრების შესახებ ნამდვილი, ჭეშმარიტი ცნობები არ გვაბადია, ბნ გოგებაშვილს, რომ „ ადვოკატური გამოსარჩლებითი“ ისტორიის წერის მაგივრად თავის დროზე საზოგადოებისთვის ჩაეგონებინა თავის წარსულ და თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულად შესწავლას შესდგომოდნენ, მაშინ ქართულ საზოგადოებას ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას მტკიცე ხასიათი ექნებოდა“ (ჯავახიშვილი, 1904, „ცნობის ფურცელი“, №2458, გვ. 2).

როგორც აღვნიშნე, ჯავახიშვილის წერილები ზედიზედ გაზეთის შვიდ ნომერში იბეჭდებოდა. ახალგაზრდა მეცნიერი თანმიმდევრულად და დასაბუთებულად, მრავალი ქვეყნის ცხოვრებისეული გამოცდილებისა თუ მეცნიერთა კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ

ქვეყანამ ეროვნული მწერლობის, ისტორიის განვითარებისათვის აუცილებელია დაიწყოს წყაროების კვლევა და მათი მეცნიერული შესწავლა.

ჯავახიშვილი წერილების მეორე მიზანი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, არის პასუხი ნიკო მარის ოპონენტებთან. არადა, გოგებაშვილის გარდა, მარის თეორიებს ხშირად არ ეთანხმებოდნენ სხვა ქართველი მოღვაწეებიც. ყველაზე დიდი და ხანგრძლივი პოლემიკა, როგორც ვიცით, 1898 წელს დაიწყო აკაკის წერილით „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანისა და სომხეთისა“ (წერეთელი, 2023, ტ. XIII, გვ. 301), რომელსაც უმაღლეს მარის წერილი „ქართველი პოეტი აკაკი სომხების შესახებ“ (მარი, 1898, „Новое Обозрение“, №№ 4841-4882, გვ. 1-2); მარის სტატია თარგმნეს, დაბეჭდეს და სხვა გამომხატველებიც დაურთეს სომხურმა გაზეთებმა. აკაკის პასუხმაც არ დააგვიანა და წერილი „პროფესორ მარის საპასუხოთ“<sup>1</sup> „აკაკის თვითურ კრებულში“ გამოქვეყნებამდე ორი დღით ადრე დაბეჭდა რუსულენოვან გაზეთში „სათაურით „Отвѣтъ привать – доценту Н. Марру“ (გაზ. „Кавказ“, 1898, № 60, გვ. 2; № 61, გვ. 2-3). ნიკო მარის ამ წერილს უპასუხა მოსე ჯანაშილიმაც კრიტიკული წერილით (ჯანაშილი, 1898, N4841); (გიორგიძე M, „Новое обозрение“, 1898, N 4900, გვ. 1-2). იმავე პრობლემას ეხებოდა 1899 წელს გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ (ჭავჭავაძე, 2007, ტ. XIV, გვ. 177).

საგულისხმოა, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის წერილებში არსად არ ახსენებს არც ილიას. ჩვენი აზრით, იგი საგანგებოდ უვლის გვერდს ილიას და აკაკის სახელების ხსენებას და მხოლოდ გოგებაშვილსა და მოსე ჯანაშილს ეკამათება ღიად, თუმცა წერილების შინაარსის მიხედვით უდავოდ იკითხება მარის ოპონენტებთან მისი ფარული პოლემიკა.

იაკობ გოგებაშვილის პრეტანზიას, რომ მარი **“მთელ ძველ ლიტერატურას თარგმანს ეძახის, უმეტეს ნაწილად სომხური ენიდან”** (1990, გვ. 52). ჯავახიშვილი ასეთ ახსნას უძებნის: *“მარი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ დაბადება და ახალი აღთქმის სასულიერო წიგნები, რომლებიც ქართული მწერლობის პირველ ხანას ეკუთვნიან, სომხურიდან არის ნათარგმნი”, რაც სომხური ეროვნული მწერლობის გავლენას კი არ ნიშნავს, არამედ კოსმოპოლიტურ, საქრისტიანო სომხურად დაწერილ, ნათარგმნ ან ორიგინალურ მწერლობის გავლენას* (ჯავახიშვილი, 1904, „ცნობის ფურცელი“, №2460, გვ.3).

სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ორიგინალობის შესახებ ნიკო მარის შეხედულებას კი ჯავახიშვილი იმგვარად ხსნის, რომ მასში რამდენიმე არაკი სხვა თხზულებებშიც მოიპოვება. იმოწმებს ალ. ცაგარელის იმავე მოსაზრებას და აღიარებს იმასაც, რომ ცაგარელმა აღიარა ამ ტექსტის ორიგინალობა (1904, „ცნობის ფურცელი“, №2466, გვ. 2).

„ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა მოსე ჯანაშილის „მცირე შენიშვნა“ (ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო) (1904, №2472-2473, გვ.3-4), რომელშიც იგი პასუხობს ახალგზრდა მეცნიერის შენიშვნას, რომ მოსე ჯანაშილის 1895 წელს გამოქვეყნებულ წერილს „მოსე ხონელი და „ამირან-დარეჯანიანი“ სწორედ „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ხასიათი აქვს“ (1904, „ცნობის ფურცელი“, №2466, გვ. 2).

ახალგზრდა მეცნიერი ასევე ესარჩლება მარის თეორიას „ვეფხისტყაოსნის“ სპრსულიდან წარმომავლობის შესახებ. მისი აზრით: *„ადამიანს იმედი ხშირად გაუცრუვდება ხოლმე, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ხელნაწერში ეს მოთხრობა არ აღმოჩნდა“ რა გასაკვირია, რომ მარი ისევ ამ მოთხრობას ეძებს, ეს ხომ თითოეული ქართული მწერლობის მკვლევრის მოვალეობაა“* (ჯავახიშვილი, „ცნობის ფურცელი“, 1904, №2466, გვ. 3).

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის კვლევისთვის ისტორიულ-შედარებით მეთოდს ემხრობა ჯავახიშვილი, მისი აზრით, ნიკო მარმა *„პირველმა დაიწყო მეცნიერულ-კრიტიკული მუშაობა. იგი კვალდაკვალ მისდევს წყაროების შესწავლას და თავის დროზე, იმედია, სამშობლოს ქართული ლიტერატურის მეცნიერულად შემუშავებულ ისტორიასაც შესძენს... მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება დაინახავს, ვინ იდგა „უკულმართს გზაზე“ პროფესორი მარი თუ მისი მოწინააღმდეგენი“* (ჯავახიშვილი, 1904, „ცნობის ფურცელი“, №2467, გვ. 2).

ივ. ჯავახიშვილის კრიტიკას მოკლედ უპასუხა იაკობ გოგებაშვილმა – „ფელეტონი – მკითხველისადმი (თავ. ჯავახიშვილის წერილის გამო). („ცნობის ფურცელი“, 1904, №2481, გვ 2-3.). მან მხოლოდ მოკლე განმარტება გააკეთა. იგი წუხდა, რომ ოპონენტმა მისი გამონათქვამები კონტექსტიდან ამოგლეჯილად გააკრიტიკა. გოგებაშვილი ჯანმრთელობის გამო ვრცელი პასუხის გაცემისგან თავს იკავებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ჯავახიშვილის ამ წერილებს პირადი წყენა უღვეს საფუძვლად, რადგან ერთხელ ნიკო მარისთვის პირისპირ საყვედური უთქვამს იმის გამო, რომ მან ორივე ენაზე გაილაშქრა აკაკის წინააღმდეგ, და პასუხიც კი არ გასცა ეზოვს, როდესაც ის აკრიტიკებდა ქართველებს. გოგებაშვილს ასევე ჯავახიშვილისთვისაც უსაყვედურია, იმის გამო, ის თავის ისტორიულ წერილებში არ აღიარებდა ანდრია პირველწოდებულის შემოსვლას საქართველოში, არც ნინოს როლს ქართველთა გაქრისტიანებაში, რითიც ქართული სამოციქულო ეკლესიის უფლებები კნინდებოდა. დაუმუნათებია იმის გამოც, რომ იგი არც ერთხელ არ გამოექმდა და არ დაიცვა ქართველი ერი, როდესაც უცხო ტომის მეცნიერები აკნინებდნენ მას. არც ის დაუმალავს, რომ არ გაეხარებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში მისი არჩევა კათედრაზე, რადგან *„სომხური კათედრიდან მარი ჩვენს უარყოფობის სიმღერას იმღერს და ქართული კათედრიდან თქვენ ბანს მისცემთ“* (გოგებაშვილი, „ცნობის ფურცელი“, 1904, №2481, გვ. 3).

უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილთან ამ პოლემიკამ ქართული საზოგადოების დიდი გულისწყრომა გამოიწვია. იმავე წლის 17-18 აგვისტოს გაზ. „ივერიაში“ **პ.პ. ფსევდონიმით** გამოქვეყნდა ფელეტონი – **„ორი წიგნი“**, რომელსაც მრავლისმთქმელი ეპიგრაფი ახლავს: **„ორნი არიან, ტოლნი არიან.“** როგორც ავტორი წერს, *„ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე დროს გამოვიდა ორი წიგნი, ერთი – თბილისში, მეორე – პეტერბურში, ერთი – ჯავახიშვილის, მეორე – ვერმიშევის; ერთი უადვოკატებს დიდბუნებოვან მეცნიერს ნიკო მარს, მეორე – მარს, სენკოვსკის, პატკანოვს და სომხობას. ჯავახიშვილი არღვევს გოგებაშვილსა და ჯანაშვილს, ვერმიშევი – ჭავჭავაძესა და ბაქრაძეს“* (პპ, 1904, „ივერია“, №189, გვ. 3). ავტორი გულისხმობს ჯავახიშვილის ხსენებულ წერილებს „მეცნიერება და მამულიშვილობა“ და ვერმიშევის წიგნს „მასალები ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიის შესახებ“ (ვერმიშევი, 1904).

ავტორი მწვავედ აკრიტიკებს ორივე წიგნის ავტორის პათოსს, პუნქტობრივად განიხილავს ყველა ბრალდებას და სათანადო არგუმენტებით პასუხობს მათ. მისი აზრით: *„დღეს არსებობს ყრუ ბრძოლა ორ უმწვერვალესობას შორის, ერთის მხრივ არიან ცაგარელი და მისი მიმყოფნი, მეორეს მხრივ პეტერბურგელი ახალი მეცნიერები. ჩვენი აზრით ეს ყრუ ბრძოლა დიდხანს ვერ გასტანს და გათავდება საკქართველოს საკეთილდღეოდ“* (პპ. 1904, „ივერია“, №189, გვ. 3).

**შესაძლებელი გახდა ამ წერილის ატრიბუციის** დადგენა, როგორ ირკვევა, სტატიის ავტორი არის **მოსე ჯანაშვილი**. მკვლევრები (ქეთევან მანია, ფუტკარაძე) ასახელებენ ამ წერილს, თუმცა მისი ავტორის ვინაობას – არა (სხვათა შორის, მოსე ჯანაშვილის ბიბლიოგრაფიაშიც არის ეს წერილი შეტანილი).

გოგებაშვილისა და მოსე ჯანაშვილის წერილების შემდეგ იმავე წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა აკაკის ზემოთხსენებული წერილი „ქართველთა მოძულენი“. აკაკი ამ წერილსაც ჩვეული სტილით იწყებს და ღვთისიაშვილებისა და სხვისიაშვილების იგავით საზოგადოებას კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, მიუთითებს სომეხ მეცნიერთა უღირს საქციელზე, რომ ისინი ცდილობენ საქართველოს ისტორიის შეცვლას. აქვე იხსენებს ამ პოლემიკის ისტორიას და თავის წერილს „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანისა და სომხეთისა“. აკაკი კვლავაც ჩამოთვლის ნიკო მართან მის მიერ წამოჭრილ სადავო საკითხებს და დასძენს:

„ჩვენმა გულწრფელობამ გააგულისა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მტრები და მათის მხრით, როგორც ვექილმა, გამოილაშქრა ჩვენზედ მეცნიერად დასახულმა პროფესორმა მარრმა. გაგვიკვირდა! მით უფრო, რომ იმას შეეძლო პასუხი გაცეა ჩვენთვის ქართულადვე, რადგანაც ქართველებისათვის დაიწერა ის ჩვენი სტატია და იმან კი უცხო ენაზე სხვა გაზეთში დას-

ტამბა მისი სასარჩლო წერილები, თითქოს იმ მოსაზრებით, რომ ჩვენის მტრების გული მოეგო და ეთქმევინებინა მათთვის: აი, რა კაცია!... თვითონაც ქართველია, მაგრამ იძულებულია სიმართლეს არ გადაუდგეს და თანახმად ჩვენდა, ჩვენთან ერთად აღიაროს ქართველების საყოველთაო არარაობაო“. **ეს დაგვიმტკიცა პროფესორმა მარმა, რომელსაც ეტყობა, რომ სკოლა შეუქმნია „ქართველთა მოძულეთა“** (აკაკი, 1904, №129 , გვ. 2).

აკაკი საყვედურს გამოთქვამს ჯანშიევის მიმართ, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია **„ქართველების პოეტის აკაკის წესის აგება პროფესორ მარისაგან“**. აკაკი წუხს, რომ ჯანშიევს „გადმოუბეჭდია მარის საპოლემიკო სტატია, შიგადაშიგ თავისივე ჩაურთავს, გადაუკეთებია სომხურ გემოზე, ჩვენი პასუხი გადაუფუჩჩებია, არც კი მოუხსენებია და ისე გადაუცია მკითხველებისთვის!... თითქოს მართლაც იმ, რასაც მარრი ამბობდა, დამტკიცებაც იყო და უეჭველ ფაქტად მიეღოს ყველას და მათ რიცხვში თვით აკაკისაც და დაჩუმებულიყოს“ (აკაკი, 1904, ივერია, № 129, გვ. 3).

როგორც აკაკი წერეთელი ამბობს, მას პასუხიც დაუწერია „ცალკე წიგნაკად“ და გამოქვეყნებასაც აპირებდა, მაგრამ იმ ხანებში ჯანშიევი გარდაცვლილა და ამიტომაც გამოქვეყნებისგან თავი შეუკავებია. საყურადღებოა, რომ აკაკი ეს წერილი დღეისთვის მიკვლეული არაა.

აკაკისა და ი. გოგებაშვილის ცხარე ტონი განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ნიკო მარის ტენდენციური დამოკიდებულებითა და რუსი პუბლიცისტის, **ვერმიშევისა და სომეხი მწერლის-ჯანშიევის** მეტად სარკასტული წერილების გამო. პირველი აკრიტიკებდა ილიას „ქვათა ღაღადის“, მეორე – აკაკის ნიკო მართან კამათის გამო. ორივე პუბლიცისტს სათანადო პასუხი გასცეს.

როგორც ჩანს, მამათა თაობას გუმანმა არ უღალატა, რომ ივანე ჯავახიშვილის წერილებს შეგირდის „ზნეობრივი ვალი“ ედო საფუძვლად. თავად ჯავახიშვილიც ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას, მიხვდა ნიკო მარის ანტიქართულ ორიენტაციას. სწორედ ნიკო მარის ამბიციის შესახებ სწერდა იგი 1916 წელს სამსონ ფირცხალავას: „როცა დრო იქნება ყველაფერს გამოვარკვევ, რაც უნდა ქმნას, მე ჩემს გზას არ ავუხვევ და მიმართულებას არ შევიცვლი არასდროს. მე პატივმოყვარე არა ვყოფილვარ და თუნდაც იმდენი მოახერხოს, რომ მე პროფესორობა არ მეღირსოს, მაინც არ ვინანებ და ჩემს რწმენას არასოდეს არ ვუღალატებ“ (ხეც, ჯავახიშვილის არქივი, №1492). როგორც როსტომ ჩხეიძეც შენიშნავს: „ეს ეჭვი და მძაფრი კრიტიკული პათოსი მხოლოდ მაშინ გაუღვივდა ივანე ჯავახიშვილს მარის მიმართ, როცა ქართულ გარემოს დაუბრუნდა და სამყაროსა და კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენებს თბილისიდან შეხედა. ერის მფეთქავ ნერვში მოქცეულმა ნათლად შეიგრძნო, რომ ნიკო მარის დაპირისპირება ქართული ენის დაარსების მოსურნეებთან გამოწვეული იყო არა მეცნიერული ინტერესებით, არამედ-იმპერიული“ (ჩხეიძე, 1997, გვ. 116).

ნიკო მარის არაკეთილგანწყობამ ქართული კულტურის მიმართ კიდევ ერთხელ იჩინა თავი ქართული უნივერსიტეტის დაარსების პროცესში. ჯავახიშვილს ამ დროს უკვე სხვა აზრი და დამოკიდებულება აქვს ნიკო მარის მიმართ: „ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელ რუსეთში არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული, არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და არ უბრძოლია ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად“ (ჯავახიშვილის არქივი, ხელნაწერთა ცენტრი, 1457). ივანე ჯავახიშვილი 1923 წლის 7 დეკემბერს ნიკო მარისადმი გაგზავნილ წერილში იმასაც საყვედურობს, რომ მას **საქართველო სამეცნიერო მოღვაწობისათვის გაუნაყოფიერებელ ქვეყნად გამოუცხადებია**. როგორც ამ წერილიდანვე ირკვევა, ნიკო მარი რუსეთის მუზეუმიდან ქართულ სიმღველეთა დაბრუნების წინააღმდეგეც ყოფილა. ამ ბრალდებების გამო ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, ჯავახიშვილის მეთაურობით, უარი უთხრა მარის თხოვნას უნივერსიტეტში თანამშრომლობის თაობაზე(ჯავახიშვილი, 1923, ხელნაწერთა ცენტრი 1457).

ივანე ჯავახიშვილი ბოლოს ძალიან განიცდიდა იმ უანგარო და გულწრფელ მხარდაჭერას, რასაც ნიკო მარის მიმართ იჩენდა. როგორც ყოველთვის, აკაკის სიტყვა აქაც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. იგი იმთავითვე მიხვდა მარის არაქართულ განწყობას და ამიტომაც ამხელდა ყველა წერილში.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და ისტორიოგრაფიის განვითარება კი თავისი გზით მიემართებოდა. ცხადია, ქართველი მოღვაწენი შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ საქართველოც ვერ ასცდებოდა გლობალიზაციის მოსალოდნელ საფრთხეს და ამიტომაც მოუწოდებდნენ თერგდალეულები ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისკენ: „მლიერია მთელი ერი, ვიდრე იგი მტკიცედ სდგას ეროვნულს ნიადაგზედ“ (გოგებაშვილი). ახალ თაობას კი, ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, „მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობად“ ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის მეცნიერული კვლევა და კრიტიკული შესწავლა მიაჩნდა. გოგებაშვილმა კიდევ არაერთი შესანიშნავი ნაშრომი და წიგნი შესძინა ერის კულტურულ საგანძურს. ივანე ჯავახიშვილმა ახალი ქართული მატთანე – „ქართული ერის ისტორია“ დაწერა. ისტორიამ კი აჩვენა, რომ ყველა გზა გლობალიზაციისკენ მიდიოდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- აკაკი, (1904). „ქართველთა მოძულენი“, თბილისი: „ივერია“, 128-130.
- გოგებაშვილი, ი. (1903). „ბურჯი ეროვნებისა“ თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მე-2 შევსებული, ტფილისი: ქუთათელაძის სტ.
- გოგებაშვილი, ი. (1903). „Правда о Тифлисе“, ტფილისი: ქუთათელაძის სტ.
- გოგებაშვილი, ი. (1904). „ფელეტონი – მკითხველისადმი (თავ. ჯავახიშვილის წერილის გამო). „ცნობის ფურცელი“, 2481, 3.
- გოგებაშვილი, ი. (1990). რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II. თბილისი: „განათლება“.
- მანია, ქ. (2020). იაკობ გოგებაშვილი და ქართველობა, [Iakob Gogebashvili Da Qartveloba.pdf](#)
- მარი, ნ. (1898). „ქართველი პოეტი აკაკი სომხების შესახებ“, თბილისი: „Новое Обозрение“, 4841, 4882.
- პპ. (1904). „ორი წიგნი“. თბილისი: „ივერია“, 189-190.
- ჩხეიძე, რ. (1997). მზის ამოსვლის წინ. თბილისი: „ლომისი“.
- წერეთელი, ა. (1898). „პროფესორ მარის საპასუხოთ“, ქ. აკაკის თვითური კრებული“, თბილისი.
- წერეთელი, ა. (2023). „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანისა და სომხეთისა“ თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. XIII, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- ჭავჭავაძე, ი. (2007). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XIV, თბილისი: „ილიას ფონდი“.
- ჯანაშვილი, მ. (1904). „მცირე შენიშვნა“ (ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო). თბილისი: „ცნობის ფურცელი“, 2472-2473.
- ჯავახიშვილი, ივ. (1904). „მეცნიერება და მამულიშვილობა“, „ცნობის ფურცელი“, 2453; 2458, 2460, 2465-2467. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1916). ივანე ჯავახიშვილის წერილი სამსონ ფირცხალავასადმი, ნ. მარის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ. 20. ოქტ. პეტრეს ქალაქი – თბილისს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ივ. ჯავახიშვილის არქ. 1472, არქივი 1492, არქივი 1492.
- ჯავახიშვილი, ივ. (1923). ივ. ჯავახიშვილის წერილი ნ. მარისადმი მისი უნივერსიტეტში თანამშრომლობის შესახებ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის არქივი (ფოტო-პირი მანქანაზე ნაბეჭდი ქართულ ენაზე).
- Церетели, А. (1898). „Кн. Акакий Церетели “Ответь привать – доценту Н. Марру“, „Фелетонь“, Газета. „Кавказ“, 60-61.
- Джанашвили, М. (1898). “О грузино-армянск. отношениях: По поводу статьи Н. Марра „Грузинский поэт Акакий об армянах“. Новое обозрение, 4841. Тбилиси.

## References:

- Ak'ak'i, (1904). „Kartvelta modzuleni“. [„Haters of Georgians“]. Tbilisi: „Iveria“, 128-130.
- Ch'avch'avadze, I. (2007). Tkhzulebata sruli k'rebuli 20 t'omadit. XIV. [Full Collection of Works 20 volumes. T. XIV]. Tbilisi: „Ilias Foundi“.
- Chkheidze, Rost'om. (1997) 'Mzis amosvlis ts'in. [Before Sunrise]. Tbilisi: “Lomisi”.
- Dzhanashvili, M. (1898). “O gruzino-armyansk. otnosheniyakh: Po povodu stat'i N. Marra „Gruzinskiy poet Akakiy ob armyanakh“. [“On Georgian-Armenian relations: Regarding N. Marr's article "The Georgian poet Akaki about Armenians"]. Novoye obozreniye, 4841. Tbilisi.
- Janashvili, M. (1898). O gruzino. Armianskix otnocheniyakh –Po Povodu statii N. Marra“. Gruzinski poet Akaki ob Armanax“. [On Georgian Armenian Relations: Georgian Poet Akaki on Armenia Following the letter by N. Marr]. “Новое обозрение”, 4841); Tbilisi.
- Janashvili, M. (1904). Mtsire Shenishvna Iv. Javakhishvilis ts'erilis gamo. [A small note (Following the letter by Iv. Javakhishvilis).“Tsnobis purceli”, 2472-2473. Tbilisi.
- Javakhishvili, Iv. (1904). Metsniereba da Mamulishviloba. [ Science and Patriotism ]. „Tsnobis Purceli“, 2453; 2458, 2460,2465-2467. Tbilisi.
- Javakhishvili, Iv. (1916). Ivane Javakhishvilis ts'erili Samson Pirtskhalavasadmi N. Maris sats'inaaghmdago kmedebbis shesakheb. 1916 tslis 20 Oktomberi. P'etres kalaki Tbiliss. [Ivane Javakhishvili's letter to Samson Pirtskhalava about the action against N. Mari, 1916, 20. Oct. Peter's City-Tbiliss]. Khelnats'erta erovnuli tsentri, Iivane Javakhishvilis arkivi, 1492. National Center of Manuscripts, Ivane Javakhishvili. Archive,1492.
- Javakhishvili, Iv. (1923). Iv. Javakhishvilis Ts'erili N. Marissadmi misi universitetshi Tanamshromlobis Sesakheb. [Letter by Iv. Javakhishvili to N. Marr on his cooperation in theUniversity]. National Center of Manuscripts, Iv. Javakhishvili Archive (photo-print typewritten in Georgian), translation by Karpez Dondua.
- Gogebashvili, I. (1903). „Burji Erovnebisa“ [Pillar of Nationality by Iakob Gogebashvili, second edition, completed]. Tbilisi: St. Kutateladze Press.
- Gogebashvili, I. (1903). „Pravda o Tiflise [Truth on Tbilisi by Iakob Gogebashvili, second edition, completed]. Tbilisi: St Kutateladze Press.
- Gogebashvili, I. (1904). „Peletoni – mk'itkhvelisadmi“. [Feuleton – To the reader (following the letter of Javakhishvili“)]. Tsnobis purceli “, 2481, 3.
- Gogebashvili, L. (1990). Rcheuli Tkhzulebani khut tomad. II. [Selected stories in Five Volumes, II]. Tbilisi: „Ganatleba“.
- Mania, K. (2020). Iak'ob Gogebashvili da Kartveloba. [Iakob Gogebashvili and Georgian Issues]. [Iakob Gogebashvili Da Qartveloba.pdf](#)
- Mari, N. (1898). Kartveli p'oet'i Ak'ak'i somkhebis Shesakheb [Georgian poet Akaki on Armenians]. Tbilisi: „Hovoe Obozreniye“, 4841, 4882.
- PP. (1904). „Ori Ts'igni“. [Two Books]. „Iveria“, 189-190, 3. Tbilisi.
- Ts'ereteli, A. (1898) '„Propesor Maris Sap'asukhod“. [In response to Professor Marr]. Tbilisi: „Ak'ak'is Tviuri K'rebuli“, 7, 9-12.
- Tsereteli, A. (1898). „Kn. Akakiy Tsereteli “Otvat' privat' – dotsentu N. Marru“. „Feleton“. [“Prince Akaki Tsereteli "Answer the greeting to Associate Professor N. Marr"]. Gazeta. „Kavkaz“, 60-61.
- Ts'ereteli, A. (2023). Ist'oriuli gankhilva sakhelts'odebis: Armenis. Hayast'anisa da Somkhetis. [Historical Review of the names Armenia, Hayastan and Somkheti .Complete Collection of Works, 20 Volumes, V. XIII]. Tbilisi „Sakartvelos Matsne“.